ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4900000

ნომერი: AR1732794

თარიღი : 04.03.2020

გაცემის თარიღი : 13.03.2020

გაცნობის თარიღი : 28.04.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გივი კარტოზიას ქუჩა N2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხოსრუაშვილი პ/ნ 01009011823
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 12 ბ. 58

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 05 თებერვალს NAR1732794 განცხადებით მომართა ნინო ხოსრუაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 07

დეკემბრის №2331559 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, N13-ში, N01.10.16.004.189 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 07 დეკემბრიდან 2018 წლის 07 ივნისის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 17 აგვისტოს №4126136 ბრძანებით ზემოაღნიშნული მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 17 აგვისტოდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ ითხოვს ავტოსადგომის ფართობად 814.6 კვ.მ-ის ნაცვლად 1 252.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას, ხოლო საერთო ფართობად 11 260.9 კვ.მ-ის ნაცვლად 11 698.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 314.8 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა შეისწავლა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანებაში არასწორად იქნა დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ ავტოსადგომის ფართობად უნდა დაფიქსირდეს 1 252.4 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 11 698.7 კვ.მ. ამასთან, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად უნდა მიეთითოს 314.8 კვ.მ,
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882020193444 მომზადების თარიღი: 11/03/2020 10:43:36) მიხედვით, N01.10.16.004.189 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აქსის გრუპი“ (404954117). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B19091598, მომზადების თარიღი: 27/08/2019 17:24:14), შპს „აქსის გრუპი“-ის (N404954117) დირექტორს წარმოადგენს თეიმურაზ ჭოხონელიძე (პ/ნ: 01007000662). ხოლო, მის მიერ გაცემული 2019 წლის 25 იანვრის N1900807037 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანებაში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1 252.4 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 11 698.7 კვ.მ. ამასთან, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად მიეთითოს 314.8 კვ.მ,

2. სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანებით შეთანხმებული -3.00 და 0.00 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის №2331559 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7)

კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.